

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 019/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

დონარი ლონდარიძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატი ორდერის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე, კლიენტის სასარგებლოდ ინფორმაციის მისაღებად შეხვდა პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. რამდენად ეთიკურია ადვოკატის მიერ კლიენტის სასარგებლოდ, მოწინააღმდეგე მხარის სახელზე ორდერის გამოწერა?

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1). გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 19.2). ორდერი არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი უფლებამოსილია იმოქმედოს კლიენტის სახელით. სხვა მიზნით ორდერის გამოწერას საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს და ეწინააღმდეგება ადვოკატის მიერ კანონის შესაბამისად მოქმედებას. შედეგად, არ აქვს მნიშვნელობა მოწინააღმდეგე პირის სახელზე ორდერის გამოწერას აქვს თუ არა კლიენტის სასარგებლოდ მოქმედების მიზანი. კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას წარმოშობს. შეკითხვიდან გამომდინარე ადვოკატი თავად უთითებს რომ მისი მიზანი ორდერში მითითებული პირის ინტერესების წარმოდგენა არ ყოფილა, რომელიც ფორმალურ კლიენტად გვევლინება და პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს. ხოლო ადვოკატის მიერ მასთან კომუნიკაციისთვის შერჩეული ფორმა კანონმდებლობით დაშვებულია მხოლოდ კლიენტთან.

დასკვნა

მოწინააღმდეგე მხარის სახელზე ორდერის გამოწერა, რომელიც რეალურად მიმართულია კლიენტის ინტერესის დასაცავად და არა ორდერში მითითებული პირის ინტერესების წარმოსადგენად არის არაეთიკური ქცევა.

¹ <https://gba.ge/pdf/60ab46eb15b22.pdf/019.20%20gacemis%20tarigi%2030.06.2020.pdf>